



RSS

Search bar with 'ძიება' button



- მთავარი
- ახალი ამბები
- ეკონომიკა
- ტექნოლოგიები
- სამართალი
- კომენტარი
- კულტურა
- საზოგადოება
- ბლოგები

Home / კულტურა / არასამთავრობოები: მინისტრმა საყდრის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი უნდა აღუდგინოს 2014.02.18


არასამთავრობოები: მინისტრმა საყდრის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი უნდა აღუდგინოს

[საყდრის მიმა მეფარიშვილი](#)

ამავე თემაზე:

[კულტურის სამინისტროს 'ოქროს კვეთა' ინტერესთა კონფლიქტის ფონზე კულტურის სამინისტრო RMG Gold-ს საყდრისში წიაღისეულის მოპოვების ნებართვას არ აძლევს როგორ იცავს კულტურის სამინისტრო საყდრისს](#)

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნულმა პლატფორმამ კულტურის მინისტრს მიმართა, რომ "მკვეთრად და საჯაროდ" დააფიქსიროს თავისი პოზიცია საყდრისის არქეოლოგიური ობიექტის მიმართ.



განცხადებაში, რომელსაც ხელს აწერს ეროვნული პლატფორმის 66 წევრი და 8 არაწევრი ორგანიზაცია, ნათქვამია, რომ გურამ ოდიშარიამ უნდა გაიზიაროს კულტურის სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს სტრატეგიული სექციის რეკომენდაცია საყდრისისთვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ.

ორგანიზაციები მოითხოვენ, რომ ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო წრეების ჩარევით ძეგლზე საერთაშორისო კვლევები უნდა გაგრძელდეს.

"ღია საზოგადოება-საქართველოს" ოფისში დღეს პრესკონფერენცია გაიმართა, რომელსაც ალექსანდრა კალატიშვილი, საქართველოს ეროვნული პლატფორმის მე-4 სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ნატო ცინცაბაძე, ძეგლებისა და ღირსშესანიშნაობათა საერთაშორისო საბჭოს (ICOMOS) საქართველოს ეროვნული კომიტეტი, მარინე მიხანდარი, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილე, გოდერძი ნარიშკიანი, არქეოლოგი, საქართველოს ეროვნული მუზეუმის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, სულხან სალაძე, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და ნინო



პრესკონფერენციაზე ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრმა სულხან სალამემ განაცხადა, რომ მას შემდეგ, რაც კულტურის სამინისტროს სტრატეგიულმა საბჭომ მინისტრს მისცა რეკომენდაცია საყდრის ისტორიის სტატუსის მინიჭების შესახებ, მას შემდეგ მინისტრმა ყველანაირი ვადა დაარღვია და დღემდე უცნობია, თუ რა პოზიცია აქვს კულტურის მინისტრს.

იურისტის განმარტებით, მართალია, საბჭოს რეკომენდაცია შესასრულებლად სავალდებულო არ არის, მაგრამ მინისტრს უნდა გაეცხადებინა, აკმაყოფილებს თუ არა ამ რეკომენდაციას. "ნეტგაზეთის" კითხვაზე, რომ მინისტრი ელოდება სამთავრობო გადაწყვეტილებას, სალამე პასუხობს, რომ გადაწყვეტილება სტატუსის აღდგენის შესახებ მხოლოდ მინისტრმა უნდა მიიღოს, რომლის დროსაც ამ დარგის სპეციალისტების აზრი უნდა გაითვალისწინოს და არა ეკონომიკის ან სოფლის მეურნეობის სამინისტროსი.

"დღეის მდგომარეობით ყველანაირი ადმინისტრაციული წარმოების ვადაა დარღვეული. სამინისტროს გადაწყვეტილება არ მიუღია. მთავრობამ შესაძლოა საკუთარი აზრი დააფიქსიროს, მაგრამ გადაწყვეტილება მინისტრმა უნდა მიიღოს ინდივიდუალურად და ყურადღება უნდა მიაქციოს არა მთავრობის წევრების გადაწყვეტილებას, არამედ საბჭოს წევრების დასკვნას", - მიიჩნევს სალამე.

იურისტის განმარტებით, კულტურის მინისტრი უფლებამოსილია საყდრის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აღუდგინოს, სანამ იგი სრულად შეისწავლება, ან 6 თვის ვადით გაუგრძელოს.



კულტურის მინისტრის ყოფილი მოადგილე მარინე მიზანდარი, რომელიც ასევე ესწრებოდა პრესკონფერენციას, ხაზს უსვამს საყდრის კვლევის პროცესში უცხოელი ექსპერტების მონაწილეობის აუცილებლობას. მაშინ, როცა საყდრისი დგას ეკონომიკური სარგებლის საპირწონედ, დიდი მნიშვნელობა აქვს კულტურის როლის გააზრებას ეკონომიკური წინსვლისთვის, მიიჩნევს მიზანდარი.

"ასე მოხდა, რომ კულტურული მემკვიდრეობის ინტერესი შეეჯახა ეკონომიკურ ინტერესს. საკითხის ასე დაყენება არაა სწორი. იმის გამო, რომ არა გვაქვს ბოლომდე გაცნობიერებული კულტურული მემკვიდრეობის ეკონომიკური სარგებლის მნიშვნელობა და როლი. ამიტომ კარგი იქნებოდა საერთაშორისო ექსპერტების მოწვევა, რომელთა მონაწილეობა სრულად გაგვაცნობიერებინებდა კულტურული მემკვიდრეობის ფასულობასა და ღირებულებას და მის შესაძლო გამოყენების გზებსაც მიგვანიშნებდა", - აღნიშნა მიზანდარმა.

ნატო ცინცაბაძე, "ICOMOS საქართველოს" აღმასულებელი დირექტორი ამბობს, რომ საყდრისთვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭება მხოლოდ საყდრის არ ეხება. მას მიაჩნია, რომ სამინისტროს გადაწყვეტილება იქნება გზავნილი დეველოპერებისთვის.

ცინცაბაძე წუხს, რომ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის პროექტში კულტურა არ არის ნახსენები, როგორც სოციალური ფასეულობა, რაც მიაჩნება იმას, რომ კულტურული მემკვიდრეობა უკანა პლანზეა.

"ეს არის მაგალითი, რომელმაც შეიძლება მიიღოს ძალიან არასასურველი განვითარება მომავალში კულტურული მემკვიდრეობის დაცვის თვალსაზრისით. ნელ-ნელა ვაიძულოთ ხელისუფლება, კულტურის როლი საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში აღიაროს და რეალურად გადადგას ნაბიჯები. სხვა შემთხვევაში არაერთი საყდრისი გვექნება მომავალში. ეს არის პოლიტიკური გადაწყვეტილება, არ მიიღო კულტურა როგორც ეკონომიკური განვითარების რესურსი",- აღნიშნა ცინცაბაძემ.

საყდრის არქეოლოგიურ ობიექტს, რომელიც ბოლნისის რაიონის ტერიტორიაზე მდებარეობს, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი 2013 წლის 5 ივლისს მოუხსნა. სამინისტროს გადაწყვეტილებით, საყდრისი მოძრავ ძეგლად უნდა გადაქცეულიყო, ხოლო ამ ტერიტორიაზე წიაღისეულის მოპოვებელ კომპანია RMG-ის ოქროს მოპოვების შესაძლებლობა მიეცემოდა.

თუმცა 2014 წლის 13 იანვარს მინისტრმა კომპანიას ნებართვა არ მისცა, რომ საყდრისში წიაღისეულის მოპოვება დაეწყო. ამავე წლის 27 იანვარს კულტურის სამინისტროში არსებულმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სტრატეგიულმა საბჭომ მინისტრს რეკომენდაცია მისცა, რომ საყდრის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აღუდგინოს. თუმცა მინისტრი გადაწყვეტილების მიღებას სამთავრობო შეთანხმების მიღწევამდე არ აპირებს.

თქვენი რეკლამა აქ!
 დარეკეთ 296 08 30. ან მოგვწერეთ
 info@netgazeti.ge

Like 128
 +1 1
 Tweet 2

ამავე თემაზე:

- [საყდრისის დამცველები ობიექტის მონიტორინგში ხუთი მეცნიერის ჩართვას ითხოვენ](#) 2014.04.23
- ["ჩაფაყენოთ საქმის კურსში გურამი" - "მწვანე მუშტის" კიდევ ერთი აქცია](#) 2014.04.15
- [საყდრისის კიდევ ერთი მხარდასაჭერი კონცერტი \[video\]](#) 2014.03.21
- [საყდრისის მხარდასაჭერად "მწვანე მუშტი" აკადემიურ დაწესებულებებს მიმართავს \[ვიდეო\]](#) 2014.01.20
- [დისკუსია საყდრისის მნიშვნელობისა და მომავლის შესახებ \[ვიდეო\]](#) 2014.01.16
- [RMG Gold: კულტურის მინისტრის უარი ნებართვის გაცემაზე ცინიკური და აღმამფთვებელია](#) 2014.01.15
- [RMG Gold: საყდრისის არქეოლოგიური ობიექტი არ დაზიანებულა](#) 2014.01.14

კომენტარი

AROUND THE WEB

WHAT'S THIS?

SmartAsset
 The 50 Worst Charities in America: How to Keep From Being Scammed

YJNews
 Boy shows his father photos of his mother in bed with another man

TravelPony
 The Secret Way to Save Hundreds of Dollars on 5-star hotels